ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3277670

ნომერი: AR1484989

თარიღი : 19.04.2017

გაცემის თარიღი : 02.06.2017

გაცნობის თარიღი : 02.06.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 11 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 11 , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილი შამათავა პ/ნ 01031005656
- თბილისი ქობულეთის ქ. N 3/15

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი სტრელჩენკო
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01013025518

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მიხეილი შამათავა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 19.04.2017 წლის AR1484989 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქ. N11–ში (უძრავი ძეგლი) მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ნებართვის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები მიეკუთვნება სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განაცხადის დარეგისტრირებისას შერჩეული უნდა იქნას შესაბამისი ნომენკლატურა (ელექტრონული განაცხადები –> მშენებლობის ნებართვა –> კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი –> სარეაბილიტაციო სამუშაოები) და წარმოდგენილი უნდა იქნას სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაციის N 882017204175, მომზადების თარიღი 17/03/2017 13:17:04, საკადასტრო კოდი N 01.18.04.019.036) მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს "აბანო N7", რომლის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს/დირექტორს წარმოადგენს ვაჟა ჩუბინაშვილი. ამასთანავე მოიჯარეს წარმოადგინეს შ.პ.ს. "ჯორჯიან სპა"; იმ შემთხვევაში, თუ იჯარის უფლება ვადაგასულია,საჭიროა წარმოდგენილი იქნეს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სადაც შეწყვიტილი იქნება ვადაგასული უფლების რეგისტრაცია. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარეს აქვს სამუშაოების წარმოების ინტერესი, საჭიროა სამსახურს მომართოს მოიჯარემ, ხოლო თუ მესაკუთრე ახორციელებს სამუშაოებს, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს მოსარგებლის თანხმობა;
2. საჯარო რეესტრის ამონაწერში (ანცხადების რეგისტრაციის N 882017204175, მომზადების თარიღი 17/03/2017 13:17:04, საკადასტრო კოდი N 01.18.04.019.036) ფიქსირდება იპოთეკა და სარგებლობის უფლება, წარმოდგენილი უნდა იქნეს იპოთეკარის თანხმობა;
3. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პროექტში არ არის:
- გენგეგმა (არსებული და საპროექტო) ღერძებით, ღერძებს შორის მანძილებით;
- განმარტებითი ბარათი ჩასატარებელი სამუშაოების აღწერითა და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით (არსებული, საპროექტო);
- ანაზომები
- გეგმა, ჭრილი, ფასადი;
4. მშენებლობის ორგანიზების პროექტის კალენდარულ გრაფიკში მითითებულია დემონტაჟი (ეწინააღმდეგება კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ);
5. წარმოდგენილი უნდა იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება განაცხადის შესაბამის ნომენკლატურაში დარეგისტრირებისა და სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.